შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N21-4

(სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი''-ს და შ.პ.ს. ,,ნიუ კომპანი"-ს შორის 2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

(NAT200000184)

სოფელი წინამძღვრიანთკარი მაისი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ნიუ კომპანი'' (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით გუმბერიძის სახით, მხარეთა შორის 2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებული N21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის, მიმწოდებლის 2020 წლის კოლეჯის ტექნიკური ზედამხედველის 2020 წლის 10 მაისის N367414 წერილის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებული N21 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. ,,ნიუ კომპანი'' კოლეჯის ტერიტორიაზე ახორციელებს ღობის მოწყობის სამუშოებს. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 42 695 ლარს, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადაა 2020 წლის 25 აპრილი.

მხარეთა შორის 2020 წლის 16 აპრილს გაფორმებული N21-3 შეთანხმების თანახმად სამუშაოები შეჩერდა სათანადო უწყებების მიერ მიმწოდებლისთვის საქმიანობის გაგრძელების და გადაადგილების შესახებ სათანადო თანხმობის მიცემამდე;

2020 წლის 10 მაისს მიმწოდებელმა წარმოადგინა N367414 წერილი, რომლის თანახმად 2020 წლის 11 მაისიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 08 მაისის N297 დადგენილების თანახმად ნებადართული ხდება ნებისმიერი ეკონომიკური და სამშენებლო საქმიანობის გაგრძელება და გადაადგილების უფლება.

ამასთან, მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ სამუშაოების შესრულება მიმდინარეობს ღია სივრცეში და სამუშაოების წარმოებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორია ნალექიანი ამინდები. შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ შეთანხმების გაფორმების დროს მიმწოდებელმა მოითხოვა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 24 აპრილის N12/1-299 ცნობაში მითითებული გარემოებების გათვალისწინება, სამუშაოების დასრულების ვადის გაზრდა ცნობაში მითითებული ნალექიანი დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობის თანახმად, სოფელ წინამძღვრიანთკარის უახლოესი ქ. თბილისის ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წლის 05 – 12 თებერვალსა და 05 მარტიდან 07 აპრილის ჩათვლით პერიოდებში ნალექი აღინიშნა 08 თებერვალს, 13, 14, 16, 17, 18, 19, 22, 26, 29, 30 მარტს; 02, 04, 06, 07 აპრილს. სულ 15 დღე;

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის 2020 წლის 16 აპრილს გაფორმებული N21-3 შეთანხმებით შეჩერდა სამუშაოები. 2020 წლის 16 აპრილიდან 2020 წლის 25 აპრილის ჩათვლით დარჩენილი პერიოდი შეადგენს ცხრა კალენდარულ დღეს, რასაც ემატება გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობაში მითითებული ნალექიანი დღეების რაოდენობა (15 კალენდარული დღე). შესაბამისად, მიმწოდებელს სამუშაოების დასრულებისთვის უნდა განესაზღვროს ვადა 24 კალენდარული დღე;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. სამუშაოების წარმოებისთვის გაენასაზღვროს ვადა 24 კალენდარული დღე, 2020 წლის 03 ივნისის ჩათვლით;

2. მხარეთა შორის 2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებული N21 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **120 (ასოცი)** კალენდარულ დღეში, 2020 წლის 03 ივნისის ჩათვლით''.

3. მხარეთა შორის 2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებული N21 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.9 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1.9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 05 თებერვლიდან 2020 წლის 04 ივლისის ჩათვლით''.

4. მიმწოდებელმა 2020 წლის 25 მაისამდე უზრუნველყოს საავანსო გადახდის უზრუნველყოფის NFG/20 019373 გარანტიის ვადის გაგრძელება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისი მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს საავანსო ანგარიშსწორება;

5. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

6. შეთანხმება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი''
დირექტორი თეიმურაზ ასათიანი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. ,,ნიუ კომპანი''
დირექტორი დავით გუმბერიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

MES 6 20 00367414

10/05/2020

ტიპი: **წერილი**

დოკუმენტის №:

შიდა №: **367414**

თარიღი№: **10/05/2020**

გვერდები:

დანართი:

ინიციატორი: **სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები**

ვისგან: **სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები**

რეზოლუცია: **11/05/2020 12:25**

ვინ: **მესხიშვილი დავით (შესყიდვების სპეციალისტი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

თემა: **შემოსული წერილი - შპს "ნიუ კომპანის" დირექტორისგან, სამუშაოების გაგრძელების შესახებ**

ავტორები: **დავით გუმბერიძე -**

ფაილები: **წერილი სამუშაოების გაგრძელებაზე-signed.pdf;**

შპს “ნიუ კომპანი”

10.05.2020 წელი

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
კოლეჯის დირექტორს ბატონ თეიმურაზ ასათიანს

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ ჩვენს შორის 2020 წლის 05 თებერვალს გაფორმებული (№21) ხელშეკრულების თანახმად, შპს „ნიუ კომპანი“ ვახორციელებთ სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ეზოს გატიხვრის (ღობის მოწყობა) სამუშაოებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული სამუშაოების წარმოება შევაჩერეთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 აპრილის #242 დადგენილების თანახმად, რომლითაც შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება და გადაადგილება სპეციალურ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმების გარეშე.

11.05.2020 წლიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 08 მაისის #297 დადგენილების თანახმად ნებადართული ხდება ნებისმიერი ეკონომიკური და სამშენებლო საქმიანობის გაგრძელება და გადაადგილების უფლება.

გთხოვთ, გავაფორმოთ შეთანხმება სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ რადგან სამუშაოების შესრულება მიმდინარეობს ღია სივრცეში, მოგეხსენებათ სამუშაოების წარმოებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორია ნალექიანი ამინდები. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ ცნობას გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან ნალექიანი ამინდის შესახებ, დღეების რაოდენობის მითითებით (დანართი #2-ს სახით).

სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შეთანხმების გაფორმების დროს გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული ცნობა და სამუშაოების დასრულების ვადა გაგვეზარდოს მითითებული ნალექიანი დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

შპს "ნიუ კომპანი"-ს დირექტორი: /დავით გუმბერიძე/



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

N 12/1-299 24 04 2020

შპს „ნიუ კომპანი“-ს დირექტორს

ბ-ნ დავით გუმბერიძეს

ბატონო დავით,

თქვენი, 2020 წლის 21 აპრილის განცხადების პასუხად გაცნობებთ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში მეტეოროლოგიური დაკვირვებები არ წარმოებს, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-სა და შპს „ნიუ კომპანი“-ს შორის, 2020 წლის 21 აპრილს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №ფმ-1/273 ხელშეკრულების შესაბამისად, მისგან უახლოესი - ქ. თბილისის ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ 2020 წლის 05-12 თებერვლისა და 05 მარტიდან 07 აპრილის ჩათვლით პერიოდებში ნალექი აღინიშნა:

08 - თებერვალს;

13, 14, 16, 17, 18, 19, 22, 26, 29, 30 - მარტს;

02, 04, 06, 07 - აპრილს.

სულ - **15 დღე.**

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი **ანდრო ასლანიშვილი**

დ. აღმაშენებლის გამ. 150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Tel.: +995 32 2439503 Fax: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

ხელშეკრულება № ფმ-1/273

ქ. თბილისი **" 21 " აპრილი 2020 წელი**

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში „შემსრულებელი"), მისი უფროსის ***ანდრო ასლანიშვილის*** სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიუ კომპანი" (შემდგომში "დამკვეთი"), მისი დირექტორის ***დავით გუმბერიძის*** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ ქ. თბილისის ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით 2020 წლის 05-12 თებერვლისა და 05 მარტიან 07 აპრილის ჩათვლით პერიოდებში ნალექიან დღეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და შედეგების დამკვეთისთვის გადაცემა.

2. მხარეთა უფლება_მოვალეობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია მის საბანკო ანგარიშზე სახელშეკრულებო თანხის ჩარიცხვიდან ან დამკვეთის მიერ გადახდის **ქვითრის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეს** გაუწიოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2.2 შემსრულებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დამკვეთის მიერ 2.4 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევისას.

2.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.4 დამკვეთი ვალდებულია, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან;

2.5 დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს შემსრულებელისაგან ხარისხიანი მომსახურება.

3. მომსახურების ღირებულება, ანაზღაურების წესი და პირობები

3.1. გასაწევი მომსახურებისთვის დამკვეთი უხდის შემსრულებელს **113.40 (ას ცამეტი ლ. და ორმოცი თ)** ლარს დღგ-ს ჩათვლით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილების - "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" დანართი №3-ის შესაბამისად.

3.2 გადახდა ხდება წინასწარ უნაღდო ანგარიშსწორებით შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

4. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების წესი და პირობები

4.1 დამკვეთისათვის ინფორმაციის მიწოდება ხდება შემსრულებლის იურიდიულ მისამართზე ან ეგზავნება მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი (რ. ჭითანავა)

4.3 გაწეული მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (სააგენტოს მხრიდან ფასიანი მომსახურების განყოფილების უფროსი ნ. ჩიქოვანი და შპს "ნიუ კომპანი"-ს დირექტორი დ. გუმბერიძე)

4.4 დამკვეთის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსრულებლის ელექტრონული ფოსტიდან momsakhureba.nea.gov.ge@gmail.com, დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულების 7.2 მუხლში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი მომსახურება, ჩაითვლება მიღებულად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი გარემოებების დადგომისას, როგორიცაა: ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ მათი დადგომიდან 48 საათის განმავლობაში.

7. მხარეთა კომუნიკაცია

7.1. ხელშეკრულების მიზნებისათვის, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმებია: კომუნიკაცია უშუალოდ და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7.2. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის შემთხვევაში, მხარეები გამოიყენებენ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართებს: დამკვეთი - newcompani9@gmail.com შემსრულებელი - momsakhureba.nea.gov.ge@gmail.com

7.3. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ინფორმაცია ჩაბარებულად ითვლება, თუ ინფორმაცია გაგზავნილია ხელშეკრულების წინა 7.2 მუხლის შესაბამისად და გამგზავნს არ უბრუნდება ავტომატური შეტყობინება ელექტრონული გზავნილის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ.

7.4. მხარე უფლებამოსილი არ არის სადავო გახადოს ელექტრონული ფოსტის მიღების/მიუღებლობის ფაქტი, თუ ასეთი გზავნილი შესრულებულია წინა 7.2 და 7.3 პუნქტებით დადგენილი წესით, ვინაიდან, მხარე თვითონ უთითებს ელექტრონული ფოსტის სასურველ მისამართს და თვითონ აქვს წვდომა შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

9.2. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო რეკვიზიტები შეესაბამება სინამდვილეს და არის მოქმედი. საკონტაქტო რეკვიზიტებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ასეთი ცვლილების შესახებ.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

9.5. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მის.: 0112 ქ.თბილისი,
დ. აღმაშენებელის გამზირი №150
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707357071
ტელ: 243-95-25; ფაქსი: 243 95 02

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი

დამკვეთი:
შპს „ნიუ კომპანი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 425056235
მის: ბაღდათის რაიონი,
ს. ფერსათი, 1–ლი ქ., N 34

ტელ: 577 36 16 26

დავით გუმბერიძე
დირექტორი

მიღება - ჩაბარების

აქტი № 299

ქ. თბილისი "24" აპრილი 2020 წ.

აქტი შედგენილია მასზედ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "გარემოს ეროვნულ სააგენტო"-სა ("შემსრულებელს") და შპს ,,ნიუ კომპანი"-ს ("დამკვეთს") შორის 2020 წლის 21 აპრილს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №1/273 ხელშეკრულების შესაბამისად შემსრულებელმა გადასცა, ხოლო დამკვეთმა, ქ. თბილისის ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, მიიღო ინფორმაცია, 2020 წლის 05-12 თებერვლისა და 05 მარტიან 07 აპრილის ჩათვლით პერიოდებში ნალექიან დღეთა რაოდენობის შესახებ, რომლის ღირებულებაც შეადგენს **113.40 (ას ცამეტი ლ.და ორმოცი თ)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ჩააბარა:

ს.ს.ი.პ. "გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს
ფასიანი მომსახურების განყოფილების
უფროსი **ნ. ჩიქოვანი**

მიიღო:

შპს „ნიუ კომპანი"-ს
დირექტორი **დ. გუმბერიძე**